წლიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. კვირა, 31 ივლისი 1915 წ. № 58

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 67.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს" რედაქცია სამწუხარო ამბავს აუწყებს თავის მკითხველებს: 27 ივლისს საღამოს 7 საათ. ქ. თბილისში

**გარდაიცვალა** მთის არწივი

## ვაჟა-ფშაველა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. დასაფლავება კვირას 2 აგვისტოს, დიდუბეში.

## ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო

**დამკრძალავ კომიტეტის თათბირი.** 30 ივლისს, დილის 12 საათზე, თათბირი ჰქონდა დამკრძალავ კომიტეტს. კრება გახსნა გიორგი ლასხიშვილმა, მან მოახსენა კრებას ქართულ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლების დადგენილება, რომელიც 28 ივლისის კრებამ გამოიტანა. ხსენებულ პირველ კრებაზედ არჩეულმა ბიურომ დეპეშით სთხოვა თიანეთის მაზრის უფროსს და მომრიგებელ შუამავალს, საგანგებო კაცი გაეგზავნათ სოფ. ჩარგალს, განსვენებული პოეტის სახლობისათვის სამწუხარო ცნობის მისატანად და აგრეთვე შესატყობინებლად იმისა, რომ რადგან პოეტის გვამი თბილისში უნდა დასაფლავდეს, სახლობის წევრთა სამგზავრო ხარჯს საზოგადოება კისრულობსო. ამის შემდეგ ბ-ნმა ლასხიშვილმა წინადადება მისცა კრებას, თავმჯდომარე აირჩიეთო. თავმჯდომარედ კრებისა ისევ გ. ლასხიშვილი აირჩიეს.

კრებამ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად—გ. ლასხიშვილი, მდივნად რ. ბებიაშვილი და მოლარედ იოსებ ლორთქიფანიძე.

კრებამ დაადგინა, რომ პოეტის გვამი დასაფლავდეს დიდუბის ეკლესიის გალავანში, ქართველ მოღვაწეთათვის შემენილ პანთეონში. ამასთანავე გამოირკვა, რომ ამ პანთეონისათვის ადგილის ფული ჯერ გადახდილი არ არის, მაგრამ, ეპისკოპოს ანტონის დაპირების თანახმად, ამ დროებით საკმარისია შეტანილ იქმნას ბეთ ცოტაოდენი ნაწილი ადგილის ფასისა და საპანთეონო ადგილი ქართველ საზოგადოების ხელში გადმოვა ეხლავე. აგრეთვე კრებას მოხსენდა, რომ ბიურომ 34 დაწესებულებას დაუგზავნა წერილები მგოსნის დაკრძალვაში მონაწილეობის მიღების შესახებ და, მაშასადამე, დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად ნავარაუდევ 1,500 მანეთზე მეტი შემოვაო. ჯერ-ჯერობით აღნიშნულ საგნისათვის გადაუდვიათ: ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას 300 მან., ქართველ ქალთა საზოგადოებას 50 მან., ქართულ გიმნაზიის გამგე კომიტეტს 100 მან., „განათლების" საზოგადოებას 30 მანეთი, დრამატიულ საზოგადოებას 50 მან., „სახ. ფურცლის" რედაქციას 100 მან. და ხარფუხის კლუბს 50 მან. შემდეგ ამისა კომიტეტმა შემდეგი დადგენილება გამოიტანა: 1) გვირგვინებით შემკობა პოეტის კუბოსი საჭირო არ არის; გვირგვინების საფასური, ვისაც სურს, ფულად შემოიტანოს, რომელსაც შემდეგ მიეცემა დანიშნულება. მხოლოდ ერთი გვირგვინი უნდა იყვეს დაკრძალვის დღეს მთელი ქართველი ერის სახელით. ამ გვირგვინზე იქნება წარწერილი: „ვაჟა-ფშაველას. ქართველ ერისაგან". გვირგვინში, რომელსაც ცხედრის გასვენების დროს ხელით წაიღებენ ქართველი მგოსნები, უნდა იყვეს ჩანგი. 2) რათა დაკრძალვამ ზეიმის ელფერი არ დაჰკარგოს, კუბო ყვავილებით იქნება მორთულ-მოკაზმული, აგრეთვე ქუჩები, რომლითაც პროცესია გაივლის, ცოცხალი ყვავილებით და მწვანე შტო-ბალახით უნდა მოიფინოს. ყველა დამსწრეს შეუძლიან დაკრძალვის დღეს თან მოიტანოს ცოცხალი ყვავილები და ხის მწვანე ფოთლები ზემო აღნიშნულ აზრით. 3) ბალდახინი მორთულ უნდა იყვეს ცოცხალი ყვავილებით და მწვანე ტოტებით. 4) კომიტეტის დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანად არჩეულ იქნა აღმასრულებელი ბიურო, რომელშიაც წევრებად შევიდნენ: ვალ. გუნია, პავლე საყვარელიძე, ნ. დ. ერისთავი, ნინო ნაკაშიძე, სოფ. მგალობლიშვილი და იოსებ ლორთქიფანიძე (მოლარე). ამ ბიუროში უნდა შევიდნენ წევრებად სტუდენტთა მხრივ ერთი და მუშების მხრივ ერთი. ამრიგად, ბიურო შესდგება 8 კაცისაგან. ბიუროს წევრები თავიანთ შორის აირჩევენ ერთ კაცს თავმჯდომარედ. 5) თანახმად მისი სურვილისა, სოფ. ჩარგალს ეხლავე გაიგზავნოს მგოსნის უფროსი ვაჟი, რომელიც თბილისში ჩამოიყვანს თავისს დედას და და-ძმათ და ამისათვის მიეცეს მას საკმაო გზის ხარჯი. 6) დაწესებულებანი და კერძო პირებმა, რომელნიც მოისურვებენ თავიანთი წვლილის მოწოდებას დასაკრძალავ ხარჯების დასაფარავად, ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, Бѣлинская ул., Дворянское депутауское собраніе. Кн. Димитрію Эрастовичу Челокаеву (ანუ) Іосифу Бежановичу Лордкипанидзе.

შემდეგი კრება ექმნება კომიტეტს დღეს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა საკრებულოში, ბელინსკის ქუჩაზე.

—

**ვაჟას** ძმა თედო და უფროსი ვაჟი უკვე ჩამოვიდნენ თბილისში.

—

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ დაადგინა 30 ივლისს: 1) 100 მან. გადაიდვას მგოსნის დასაკრძალავად, 2) ნაცვლად გვირგვინისა 50 მან. გადაიდვას სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ, 3) საზოგადოების მხრივ დამკრძალავ კომიტეტში გაიგზავნოს საბჭოს წევრი დ. დ. კილოსანიძე და 4) პანაშვიდებს და დაკრძალვას დაესწროს საბჭო მთელი შემადგენლობით.

—

**პანაშვიდი.** 29 ივლისს, საღამოს 7 საათზე, დიდებული მგოსნის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადა ქვაშვეთის ტაძარში გორის ეპისკოპოზმა ანტონმა, არქიმანდრიტ პიროსისა, ოქონის ეკლესიის მღვდლის დავით კავკასიძისა, დუშეთის ეკლესიისა კონსტანტინე კავკასიძისა და ადგილობრივ სამღვდელოების თანამსახურებით. ჰგალობდა ფილარმონიულ საზოგადოების მგალობელთა გუნდი. ხალხით გაჭედილი იყო ეკლესია და ეკლესიის გალავანი. მღვდელმა კონსტანტინე კავკასიძემ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც ცალკე იბეჭდება ჩვენს გაზეთში.

—

**ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების** გამგეობას 29 ივლისს, საღამოს, საგანგებო კრება ჰქონდა, დ. კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ პირველად ფეხზე ადგომით პატივი სცა დიდებულ პოეტის ხსოვნას. გამგეობამ შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა: 1) განსვენებულ მგოსნის პანაშვიდებს და დაკრძალვას გამგეობა დაესწროს მთელ თავისი შემადგენლობით; 2) ნაცვლად გვირგვინისა, გადიდვას 50 მან. სალიტერატურო ფონდის მისაშველებლად; 3) დამკრძალავ კომიტეტს [illegible] 300 მან. საზოგადოების მხრივ მგოსნის დამკრძალავ თანხისათვის; 4) საზოგადოების მხრივ გაიგზავნონ დამკრძალავ კომიტეტში წევრებად გამგეობის წევრები გ. ლასხიშვილი და გიორგი ცინცაძე და 5) დაევალოს გამგეობის წევრს ლუარსაბ ბოცვაძეს დაკრძალვის დღეს სიტყვა წარმოსთქვას მგოსნის კუბოსთან.

გარდა ამისა, გამგეობამ სურვილი გამოსთქვა, რომ დიდებულ მგოსნის კუბო შეიმკოს მხოლოდ ერთი გვირგვინით მთელ ქართველ ერის სახელით და ამ წინადადების დაცვა დამკრძალავ კომიტეტში დაავალა თავისს წარმომადგენლებს.

—

**ვაჟას კუბოსთან.** ვაჟას კუბო მორთულ-მოკაზმულია ცოცხალი ყვავილებით. საყვარელ პოეტის კუბოსთან მორიგედ იყვნენ: 28 ივლისს, ღამით, მუშებისა და სტუდენტ-ვაჟების წარმომადგენელნი; 29 ივლისს, დღით, მათივე წარმომადგენელნი; იმავე რიცხვს, ღამით, მუშების წარმომადგენელნი და 30 ივლისს, დილით, ისევ მუშების წარმომადგენელნი.

—

**მუშების წარმომადგენელი.** დამკრძალავ კომიტეტში წევრად მუშებმა თავიანთ წარმომადგენლად გაგზავნეს ივანე ბალიაშვილი.

## ვაჟას დაკარგვით!..

ბარში ატირდა მოხუცი,
მოსთქვამს ზარს—ზარიანათა:
ნეტავიმც თავზე დამეცეს
მთა-ღელე ბარიანათა!..

ვაჟა-ფშაველა.

გარწმუნებ, მკითხველო, რომ არაფრის თქმას არ ვაპირებდი ვაჟას დაკარგვის გამო, იმდენად ზარ-დამცემი, მოულოდნელი და გამაბრუებელი იყო ეს აუნაზღაურებელი დანაკლისი; არ ვაპირებდი რადგან ვიცოდი, რომ უჩემოდაც ეხლა მრავალი „ცა და ქვეყნის შემზარავი" სიტყვა ითქმის, მაშინ, როცა ცოტა რამ საქმით უნდა დაგვემტკიცებინა გარდაცვალებულისადმი პატივისცემა-თანაგრძნობა და, სიცოცხლის დროს, იმდენად ხელი შეგვეწყო თუნდა იმის მატერიალურ ყოფისათვის, რომ ცოტა ხანგრძლივ გვეყო იმისი, ჩვენთვისავე სასარგებლო, ყოფა...

დიახ, ჩემი თქმა, ვფიქრობ მეტი-ღა იყო, მაგრამ ეტყობა ისეა კაცის ბუნება მოწყობილი, რომ ან ცრემლით, ან მოთქმით უნდა გამოხატოს თვისი ვაება და იმით ოდნავაც არის გული მოიოხოს.

დიდი ხანია, შევეჩვიე და მოუთმენლობით მოველოდი ხოლმე ვაჟას გამაცოცხლებელ-აღმაფრთოვანებელ სიტყვას—მაღალი მთიდან გადმოძახილს და, კითხვის დროს, ვგრძნობდი რაღაც ეროვნულ სიამაყეს,—ერთნაირ მიზანს არსებობისას და ეხლა კი ანაზდეულად დავკარგე ეს გულის მესაიდუმლე,—პირადად თუმცა უცნობი, მაგრამ მაინც ნამდვილი მეგობარი—ადამიანი.

ვის შეეძლო ტკბილ შაირში ასეთი სადად და ბუნებრივად მოეყალიბებინა ადამიანის კაეშანი თუ აღფრთოვანება, როგორც იცოდა ხოლმე ჩვენი ხალხის გულის მესაიდუმლე ვაჟამ! და განაღა, ეხლანდელ ყოფით გულ-დათუთქულს ქართველს, თითქოს ისღა დარჩენია, რომ ვაჟასავე სიტყვებით გამოხატოს თვისი გლოვა: „ბარემღა თავზე დამეცეს მთაღელე ბარიანათა-"ო... მაგრამ არა, ასეთი გულის გატეხა და მოდუნება ხომ ლაჩრების ხვედრია და შეგნებულ ქართველს კი, რომელიც მომავლისაკენ იხედება, ჰმართებს: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირისა". განა ჩვენი ერის დიდი უმეტესი წარსულისა ტანჯვა-წვალების ერთი დაუსრულებელი ეპოპეია არ არის?! მაგრამ არ გასტეხიათ რაინდული გული ჩვენ წინაპრებს და. ჩვენი მომავალის გამოსაჭედად, ჩვენც უნდა ვეცადოთ ჯეროვანის მოთმინებით შევხვდეთ ჩვენზედ მოვლენილ ამ ერთ მრავალ განსაცდელისაგან! უნდა გვახსოვდეს, რომ მოშავბედებულ ღამეს, არა იშვიათად, მოსდევს ხოლმე ოქროს სხივებით გაბრწყინვალებული, გამახალისებელი დილა და ტანჯვა-წვალებას სიხარული სცვლის ხოლმე.

დავობლდით ვაჟას მადლიან სიცოცხლის უდროოდ შეწყვეტით, მაგრამ ძლიერი სულის მქონე ერს, რომლისათვისაც გაჩენისას განგებას თანდაულოცია უნარი წარმოეშვა შოთა-შავთელ-ჩახრუხაძეები, თამარ-დავითები, ბარათაშვილი, ილია, აკაკი და მრავალი სხვა საკაცობრიო პიროვნებანი, რომელთა უკვდავ ხსოვნასაც ვერ წალეკავს ყოველივეს მომნელებელი საუკუნეები,—განა ესრეთს ერს დაეკარგება თანდაყოლილი უნარი, რომ უმალ არ წარმოშვას თვისი ცხოველ-მყოფელობა—უკვდაობის მაჩვენებელი შვილნი?!

ამიტომაც, ვაჟას დაკარგვითაც, ჩვენ ეროვნულ ყოფის არც „მზე დაბნელდება და არც ვარსკვლავები ჩამოცვივიან",—რის გადაჭარბებულად თქმაც ჩვენ ვიცით ხოლმე ესრედ შემთხვევაში. დანაკლისი, რაღა თქმა უნდა, მეტად დიდია და საგრძნობელი, მაგრამ არა პირველი და ჩვენგან მოითხოვს ჯეროვანის სიდარბაისლით შევხვდეთ ამ ეროვნულ უბედურებასაც; მხოლოდ გულში ღრმად უნდა აღვიბეჭდოთ და ვეცადოთ დავიახლოვოთ ის იდეალი, რომლისაკენაც ისრეთის სულის სიმწარით მიისწრაფოდა ჩვენი ვაჟა; რომ იმისი, მრავალ საუკუნეებს და მრავალ გახსაცდელს გამოვლილი, „ტურფა მხარე ეხლა ყვავ-ყორანთა სათარეშოდ არ გახდეს"-აი რა იყო იმისი საზრუნავი საგანი...

„ხარს ვგევარ ნაიალარს,—
ქედით მიწას ვთხრი, ვზუზუნებ,
**ღმერთო სამშობლო მიცოცხლე,**
**დღე და ღამ ამას ვდუდუნებ"-ო.**

აი როგორი ფიქრით იყო მოცული მთელი მისი არსება. ესევე ჩვენც უნდა დავისახოთ მიზნად და გავსწიოთ მისკენ გაბედულის ნაბიჯით, თუ მართლა გულწრფელად ვართ დამგლოვიარებული ვაჟას გარდაცვალებით დი გვინდა ხელთუქმნელი, მაგრამ სამარადისო ძეგლი აუგიათ მის ამ ქვეყნად მადლიანის და ლამაზ ყოფნის აღსანიშნავად...

**გ. ახალციხელი.**

## არწივის სიკვდილი

(ვაჟას სამარადისო ხსოვნას)

სალ კლდეზე მებრძოლი არწივი უდროოდ დაავადებულიყო. გარშემო ჭილყვავთა გუნდი დასტრიალებდა, მისი რისხვისა არ ეშინოდა. ავადმყოფს თავი ჩაეკიდნა, მოუხმობდა ბარტყებს, მაგრამ ბარტყები არსადა სჩანდნენ, ისინი სადღაც შორს გადაკარგულიყვნენ სისხლის საღვრელად და მისი ძახილისა არა ესმოდათ-რა. არწივი ღონობდა, გული ელრინებოდა, სალ კლდოვან მწვერვალებიდან თვალმოუშორებლივ გაჰყურებდა შორეულ გზას, საიდანაც ბარტყების მოლოდინი ჰქონდა.

ამ დროს ჩამოუქროლა ჭილყვავმა და გესლიანად შეჰნიშნა: „მოგელო ბოლო? შვილებიც არ გშველებიან... დღეიდან შენი რიდი ვისღა ექნება"? სთქვა და დაცინვით ფრთები გაჰკრა.

არწივმა წამოიწია. ლამობდა, ერთხელ კიდევ მრისხანედ ჰკვეთებოდა თავგასულ ჭილყვავს, მაგრამ ველარ შესძლო, ძალა წაერთო. ჭილკვავი გაკადნიერდა. ავადმყოფ არწივის თავთან დაჯდა და საზეიმოდ დასჩხავლა. არწივმა გაიბრძოლა, ერთხელ კიდევ მრისხანედ აუნაპერწკლა თვალები, მაგრამ მყისვე [illegible] მიეშვა და ფრთები დაეშვა...

ამაყი არწივი კვდებოდა...

მისი ბარტყები კვლავ არ სჩანდნენ...

ივერიის სალი კლდე სამგლოვიაროდ იბურებოდა...

**ი. ჯიხაიშელი.**

### სიტყვა მღვდლის კავკასიძისა.

ვაჟაფშაველას პანაშვიდზე 29 ივლისს ასეთი სიტყვა წარმოსთქვა ქ. დუშეთიდან ჩამოსულმა მღვდელმა კონსტანტინე კავკასიძემ.

„ქართულ პოეზიის მშვენებავ, დიდებულო მგოსანო! გუშინ დილის 9 ს. ქ. დუშეთს სამგლოვიარო დეპეშამ ამცნო შენი სიკვდილი. ამ მოულოდნელმა და თავზარდამცემმა ამბავმა, რომელიც ელვის სისწრაფით მოედო მთელს ქალაქს და ახლო-მახლო მდებარე სოფლებს ჯოჯოხეთური ტკივილი აგრძნობინა ყველას. ეს სამწუხარო დეპეშა საჩქაროდ გადაეცა იქვე ჩამოსულ ჩრდილელ ხევსურს, ვინმე აფშინოს, რომ მას დროზედ ემცნო შენი უდროოდ სიკვდილი შენს საყვარელს სამშობლოსა და ხეობისათვის, სადაც ამაყი და ქედ მოუგრეხელი მთანი ცამდე აყუდებულან და გულ მილეულნი ახლაც ელიან შენს იქ დაბრუნებას და მათ მწვერვალებზე კვლავინდებურად არწივისებურ ფრთების გაშლას. ხევსურმა რა გაიგო შენი სიკვდილი, უკანვე გადმოგვიგდო დეპეშა და მორთო ხმა-მაღლივ ქვითინი: „ვაჟას რა მოჰკლავდა, იმის სიკვდილს მთას როგორ ვეტყვი, მის სიკვდილს მთა არ მიიღებსო: მართლა თუ აღარა გვყავს ჩვენი ვაჟა, თუ ჩვენი მელექსე მტრის ხელით იქნება მკვდარი, ახლავ დავილუპნოთ გვირჩევნიან და დავიხოცნეთო". დეპეშა მაინც არ წაიღო. მთის არწივო ვაჟავ! რამდენი ამისთანა აფშინები ჰყავს შენს საყვარელს მთას, აბა ერთი წამოდექ, წადი დიხჩო ლიქონის მთებიდან გადახედე შენს მთიელთ, როგორ მოსთქვამენ შენს დაკარგვას. გახედე იქ ბუმბერაზთ მთებს, როგორ გადაჰფარებია ყვავ-ყორნის შავი და მდუმარე ძაძა. არწივი უმწვერვალეს კლდეებს გასცილებია, ცას მიჰკრობია. არაგვი ადუღდა, ცეცხლი დაენთო მის გულში, თვისი სწრაფი სრბოლა კუს ნაბიჯზედ შესცვალა, რადგანაც უწყრება ბარს და

მისი ნახვა აღარა სურს. შენს მამულში მოჩუხჩუხე, სანეტარო სამკურნალო წყალი ძირს უფსკრულში გაპარვას ლამობს. შენი გულის დამამშვიდებელი ცივი მჟავე წყალი შენს გაგრილებას აღარა ხარობს. შენ კი სდუმ, გაჰბუტებიხარ მთას, ბარი შეგყვარებია, მაგრამ არა, შენ გამოექეცი მთას, რომ უფრო ადრე შეჰყროდი მოლოცვის სალამს განთავისუფლებულ საყვარელ შენის ერისას, რასაც დღევან-დღამდე ელოდა შენი გული, მაგრამ— გასწირე სული. დეე... შენ განისვენე, დალლილო მუშაკო და შენს შვილებს, შენს ერს ადრე შეუსრულდეს შენი წადილი. რომ საფლავში მაინც ჩამოგძახონ სანატრელი ამბავი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი დაუვიწყარო ვაჟავ!

# ომის დღიური

## დეპეშები

თბილისი, 29 ივლისი. კავკასიის ლაშქრის შტაბისაგან. 27 ივლისს ბრძოლა გრძელდებოდა. ოლთისის მიმართულების ერთ-ერთ ნაწილში ოთხი ბატარეის ცეცხლის მფარველობით მდინარის ხეობაში დაიწყო მოგროვება ოსმალების ხუთმა როტამ, მაგრამ ჩვენმა ბატარეიამ გააჩუმა ოსმალთა არტილერია და ოსმალთა ქვეითი ჯარი ამოილო მიზანში. ხოლო როდესაც ბრძოლაში ჩაერია ჩვენი მსროლელთა ერთი როტა, ოსმალნი აირივნენ და გაიქცნენ. მათთვის გზის გადასაჭრელად გაიგზავნა თხუთმეტი მსროლელისაგან შემდგარი მოხალისეთა რაზმი უნტეროფიცრის ფოდოიდის წინამძღოლობით. ეს რაზმი ხიშტებით შეება ასი კაცისაგან შემდგარს ოსმალთა რაზმს, დახოცა 31 და ტყვეთ წამოიყვანა 28 ასკერი, რომელთა შორის ორი უნტეროფიცერია. დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. ოსმალთა ნაწილობრივი შემოტევის ცდა ოლთისის მიმართულებით და პასინის ხეობაში ყველგან მოგერიებულ იქნა. მერგემირის უღელტეხილის დაჭერის დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ 3 ოსმალთა ტყვიისმფრქვეველი და ტყვეები, რომელთა რიცხვიც ირკვევა. ტყვებს შორის ორი პოლკის უფროსია. ეფრატის მიმართულებით ოსმალთა დევნა გრძელდება; უკანასკნელ დღეებში ერთმა ჩვენმა კოლონამ ტყვეთ წამოიყვანა 19 ოფიცერი და 1172 ასკერი. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე 200 ფურგონი, მათ რიცხვში პიროქსილინით და შანტის ინსტრუმენტით დატვირთულები. ხელთ ვიგდეთ იარაღი, პატ[illegible] და კარავები. სოფლებში უკუქცეულმა მტერმა მრავალი დაჭრილი ასკერი დასტოვა. გზაზედ ჩვენი მხედრობა პოულობს საარტილერიო პატრონების გროვებს. ოსმალები შეეცადნენ სოფელ ხარჩამვექთან ეფრატის მარჯვენა ნაპირზე გადასულიყვნენ, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა.

პეტროგრადი, 29 ივლისი. მთავარსარდლის შტაბისაგან. რიგას იქით შარა-გზაზე, 27 ივლისს რუსებმა მოიგერეს გერმანელების იერიში, რომელიც მიმართული იყო მდ. ეკაუს წინაალმდეგ. იაკობშტადტიდან გამომავალ შარა-გზაზე რუსებმა უკუაგდეს გერმანელები შენბერგის რაიონიდან. ხოლო დვინსკიდან პონევეჟისაკენ რუსები ძალიან ავიწროვებენ უკუ-მიმავალ გერმანელებს. ადგილ-ადგილ პირდაპირ ხიშტებით ჰკუწავენ გერმანელებს, რომელთაც არას გზით არ სურთ ადგილის დატოვება. 27 ივლისს ღამე გერმანელებმა იერიში მიიტანეს კოვნოს დასავლეთ სიმაგრეებზე, მეორე დღეს იერიშები განაახლეს. გარნიზონმა კონტრ-იერიში მიიტანა და გერმანელთა სამი ბატალიონი თითქმის სულ ერთიანად გაანადგურა, ხელთ იგდეს ასამდე ტყვე და ტყვიის მფრქვეველები. იმ მიმართულებით, რომლებიც ოსტროლენკოდან, როჟანიდან და პულტუსკიდან მოდის, გერმანელები განაგრძობენ მედგარ შემოტევას. მიუხედავად ზარალისა და განუწყვეტელი ბრძოლებისა რუსის ჯარი მთელ ფრონტის სიგანეზე, ნარევიდან ბუგამდე, სასტიკ წინააღმდეგობას უწევს გერმანელებს. ნოვოგიორგიევსკისთან რუსებმა შეაჩერეს გერმანელები, რომელთაც იერიშები მოიტანეს ნოვოგიორგიევსკის სამხრეთ სიმაგრეებზე. მოდარაჯე ნაწილებს შეტაკება მოსდის შუა ვისლიდან რომ გამოდის იმ შარა-გზაზე. რუსები იგერიებდენ იმ იერიშებს, რომლებიც გერმანელებს მოჰქონდათ ვეპრჟიდან ხოლმისკენ მიმავალ გზებზე. რუსებმა უკუაგდეს ხოლმიდან იერიშით მომავალი გერმანელთა ჯარი, რომელიც მდ. უხერკას დაუბრუნდა. ვლადიმირ-ვოლინსკის რაიონში რუსეთის ცხენოსანთა ჯარმა გერმანელები უკუაგდო. ბრძოლა; რომელიც 26 ივლისს დაიწყო დნესტრზე, მდ. სტრიპის შესართავთან, გაგრძელდა მთელი მეორე დღის განმავლობაში ავსტრიელებმა კვლავ შემოიღეს თვითმსკდომი ტყვიის ხმარება. სალამო ჟამს შეაჩერეს ავსტრიელთა იერიშები.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### გამოქცეულები.

„რუსკოე სლოვო“ იტყობინება: ათასობით და ათიათასობით გამორბის ხალხი პოლონეთის გუბერნიებიდან. გამორბის დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა, ქალი და მანდილოსანი. ყველანი აზრ დაბნეულნი და შეშინებულნი არიან. მოსკოვის ალექსანდროვის სადგურს აუარებელი გამოქცეული მოაწყდა. სავსეა ყველა ადგილები. გაზეთის კორესპონდენტი აღწერს მათს უნუგეშო მდგომარეობას და საზოგადოებას დასახმარებლად მოუწოდებს.

### საბერძნეთში.

საბერძნეთის მაკედონიის სხვა და სხვა ქალაქებში მიტინგები შესდგა წინააღმდეგ ტერიტორიის დათმობისა. პროტესტანტებმა ამოთხარეს შარშანდელ ომის დროს დახოცილთა თავის ქალაები, ჩამოაგეს კეტებზე, შემოავლეს ძაძა და ისე დადიოდნენ.

—

შინაგან საქმეთა მინისტრმა სათათბიროდან უკან წაიღო პოლონეთის საქალაქო თვითმართველობის შემოღების კანონ-პროექტი. როგორც ამბობენ, კანონ-პროექტი უნდა შეიცვალოს და პოლონელთა ერისთვის ფართო უფლებებით უნდა წარადგინონო.

ახლო მომავალში ფინანსთა მინისტრი საზღვარ გარედ მიემგზავრება, რათა ოთხთა შეთანხმების იმ წარმომადგენლებს მოელაპარაკოს, რომელნიც ფინანსიურ პოლიტიკას აწარმოებენ.

### გერმანეთის ჰაეროპლანები ვილნაზედ.

„...ვ-ს ატყობინებენ ვილნიდან, რომ 25 ივლისს იქ გერმანელმა მფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს.

### გერმანიის გაზეთები ვარშავის შესახებ.

„ლოკალ ანცაიგერი“ აფრთხილებს ხალხს ნამეტნავად ნუ გააზვიადებთ უკანასკნელ ამბების მნიშვნელობასაო. „მართალია ვარშავის აღება ფრიად დიდი მნიშვნელოვანი ამბავია, მაგრამ ჩვენს მიზანს მრავალ ქალაქების აღება კი არ შეადგენს, არამედ მოპირდაპირის ჯარის მოსპობა. რუსების ორი ციხის აღება მხოლოდ რუსის ჯარის დაღლის ნიშანია და ჩვენ ჯერ კიდევ მრავალი ძნელი ამოცანა გვიდევს წინ.

უფრო თავდაჭერილ კილოთი სწერს „ფოსსიშე ცაიტუნგი“. უეჭველად დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამის შემდეგ რუსები უფრო სასტიკს წინააღმდეგობას გაგვიწევენ. ჩვენ უნდა ვეცადნეთ ჩვენი ფრონტის სრულს გასწორებას, რომ დაჭერილ ადგილებზედ გავმაგრდეთ და შევძლოთ ჩვენი ჯარის სხვა ფრონტზედ გადაყვანა.

„მორგენ პოსტიც“ იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ჩვენი ეხლანდელი გამარჯვება მხოლოდ ძლიერს თავდასაცველ ხაზს გვიგდებს ხელში და უმთავრესი ბრძოლა ჯერ არ გადაწყვეტილაო.

### იტალიური ენა კუნძ. მალტაზე.

ინგლისის მთავრობამ აუწყა კუნძ. მალტის მცხოვრებთ: რადგან კუნძულის მცხოვრებნი დახმარებას უწევენ შეთანხმებულ სახელმწიფოთ, ამიტომ ომის გათავების შემდეგ იტალიური ენა ოფიციალურ ენათ იქნება კუნძულზედ გამოცხადებული.

—

კუნძულ მალტის მცხოვრებთა რიცხვი 200 ათასამდე აღწევს. უმრავლესობა ნარევ ხალხს წარმოადგენს, რომელიც წარმოშობილია იტალიელთა, არაბთა და სხვა სემიტელთა სისხლის შერევით. მაღალ წრეებს თავის მშობლურ ენათ იტალიური მიაჩნიათ, დაბალი წრეები კი ლაპარაკობენ მალტური ენით, რომელიც აგრეთვე ნარევს წარმოადგენს იტალიურისას, არაბულისას და კართაგენულისას. მთავრობის დაპირებას უეჭველად ყველა დიდის სიამოვნებით შეჰხვდებოდა, რადგან იტალიური ენა თითქმის ყველას ეყურება ამ კუძულზედ. რაც ინგლისურს ენას შეეხება, იმის და მიუხედავად, რომ ინგლისელები ამ კუნძულს 1800 წლიდან ბატონობენ, იგი ხალხში მაინც სრულებით არ არის გავრცელებული.

(ბირ. ვ.)

### ოთხი მილიარდი წერილი.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი გვატყობინებს, რომ ომის ერთი წლის განმავლობაში გერმანეთის სამხედრო-საველე ფოსტამ 4 მილიარდი წერილი გადაზიდა. ოფიციალი სტატისტიკა ამტკიცებს, რომ სხვა და სხვა ფრონტიდან გერმანეთის ჯარის კაცებს სამშობლოში გაუგზავნიათ 1.600.000,000 წერილი. ხოლო თვით ჯარის კაცებს მშობლებისა და ნათესავებისაგან წერილების გარდა ყოველ დღე მისდიოდათ 45,000 ამანათი.

ეს ბერლინის გაზეთი ადარებს ეხლანდელს სამხედრო ფოსტის მოქმედებას 1870—1871 წლების სამხედრო ფოსტის მოქმედებას და ამბობს, რომ მაშინ მთელი ომის ხანგრძლივობის განმავლობაში გაგზავნილ წერილთა რაოდენობა 104 მილიონს ძლივს აღწევდა; ეხლა კი ამდენი წერილი მხოლოდ 7 დღის განმავლობაში იგზავნებაო.

(ბ. ვ.)

# პატარა შენიშვნა

ი. გედევანიშვილს მხატვარ სიდამონ ერისთავის ესკიზი „ქართველი რაზმელები პოზიციებზე“ არ მოეწონა. და რაკი არ მოეწონა, შესაძლოდ სცნო ასეთ გულუბრყვილო კრიტიკით მიმართოვა ბ. მხატვრისადმი: „სად უნხავს ბ. მხატვარს ისეთი „პოზით“ სროლა, როგორც ამას სჩადის მისი დაჩოქილი რაზმელი? ან რომელი ჭკუათ მყოფელი მეომარი ცხენებს იქვე მსროლელთა ზურგს უკან დაუყენებს და მტრის მიერ დახვრეტისათვის აატუზებს?“ არ ვიცი უნახავს ასეთი სურათი ბ. მხატვარს ან ი. გედევანიშვილს, მაგრამ მე კი ჩემის თვალით მინახავს ბრძოლის ალში ისეთი „პოზები“ მებრძოლთა, რომ თავის უცნაურობით უკანასკნელნი ბევრად აღემატებიან იმას, რაც გაკვრით ნაჩვენებია ერისთავის ესკიზში. მასთანაც სრულიად არ ემორჩილებიან იმ თეორეტიულ კანონებსაც სამხედრო ტაქტიკისა, რომელიც ბ. გედევანიშვილს ასე კარგად სცოდნია. ჭოროხის ხეობაში ბევრჯელ მოწინააღმდეგეს ჩვენი ცხენოსნები ისეთ მდგომარეობაში ჩაუყენებია, რომ ცხენები დროზედ ვერ დაუშორებიათ და უნებურად „მტრის დახვრეტისათვის უკან ატუზულები“ იდგნენ. ჭკუათ მყოფელები კი მადლობა ღმერთს, ყველანი იყვნენ.

რაც შეეხება მებრძოლის „პოზებს“ სროლის დროს, აქაც მისი ხასიათი მეტად მრავალფეროვანია და დამოკიდებული ბრძოლის ადგილზე და მომენტზე. და რასაკვირველია, ბევრჯელ მსროლელის პოზაც იმ სახისა და ფიგურისა არ გახლავთ, რასაც სამხედრო „პლაცებზე“ მშვიდობიან ვარჯიშობის დროს ვხედავთ ხოლმე. ამიტომ ასეთ „კაპრალურ“ საზომით გასინჯვა მხატვრულ ბატალურ ესკიზებისა დიდ გულუბრყვილობად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ამაში როგორ „დავწამებ“ ასეთ ნასწავლ სამხედრო პირსა, როგორც ბ. ი. გედევანიშვილია, რომელსაც მასთან, როგორც „სინათლის“ ავტორს, ცოტა რამ მხატვრობაშიაც უნდა გაეგებოდეს. მაპატიეთ, მაგრამ ძალა უნებურად უნდა ვიფიქრო, რომ ასე უდიერი და გულუბრყვილო გაკვრა „რაზმელების“ პაწია ესკიზისა განზრახ სახელის გატეხვაა ახალგაზრდა მხატვარ სიდომონ-ერისთავისა, როგორც ავტორისა პოლიტიკურ კარიკატურებისა. „სახალხო ფურცლის“ მოღვაწეობაზე. ასეთი ქცევა კი ი. გედევანიშვილს მართლაც დიდ და „მიუტევებელ ცოდვად“ უნდა ჩაეთვალოს.

დ. კ.

# ახალი ამბავი

◆ ი. ო. იოსელიანი, უფროსი ინსტრუქტორი მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტისა, წასული იყო მოსავლელად თბილისის მაზრის სოფლების ბოგვისა, დაღეთისა, კოდისა, სალარაშენისა, ენაგეთისა, ასურეთისა და სხ. როგორც ბ-ნმა იოსელიანმა გვიამბო, ღვინის მოსავალი ხსენებულ სოფლებში ერთობ მცირე იქნება და ვენახებიც ძალიან დაჯანდაკებულია. ამის მიზეზი საყოველთაო არის: წამლის უქონლობა და წვიმიანი წელიწადი. ქერისა და პურის მოსავალი შუათანაზე მეტი იქნება. ქერი უკვე მომკილია, პურს ეხლა მკიან. სოფლად საერთოდ მუშა ხელი ცოტაა და ეს გარემოება ძალიან აბრკოლებს მუშაობას.

◆ დანიშვნა და ჯილდო. თემირ-ხან-შურის რეალურ სასწავლებლის ინსპექტორი სტატ. სოვეტ. ილარიონ ლორთქიფანიძე ინიშნება ყარსის რეალურ სასწავლებლის დირექტორად.

პოლკოვნიკობა ებოძა ჩერკასკის ცხენოსანთა ჯარის კომანდირს თ-დ ჭავჭავაძეს.

◆ ბალახანა-საბუნჩის პოლიცმეისტერი მიხაილოვსკი ბაქოს გრადონაჩალნიკის თანაშემწედ დაინიშნა.

# ივერიის ეკლესიის შესახებ

III

(საეკლესიო მუზეუმის დაარსება)

ვინ არ იცის, რომ ჩვენს წინაპრებს საქართველოს და მის გარეშე შეუქმნიათ საარაკო როგორც საერო, ისე სასულიერო კულტურა. ამის მოწმეა აუარებელნი ნაშთნი არქეოლოგიურნი, ეთნოგრაფიულნი, საეკლესიო-ისტორიულნი დ სხვანი, ამის თავდებია ძველის-ძველი ხელთ-ნაწერები, სალვთო ჭურჭელნი, ხატები და შესამოსელნი. ისინი მოგვითხრობენ შეურყეველ სარწმუნოებაზე და განათლებაზე ჩვენში. ეს ძეგლები გაფანტულია ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხეში და აგრეთვე უცხოეთშიც, მაგ. იერუსალიმს სინას მთაზე, ათონს და სხვაგან. აღმოსავლეთის საქართველოს სამღვდელოებას თავის დროზე უფიქრნია ამ სიძველეთა შენახვაზე და 1888 წ. კიდეც გაუხსნა საეკლესიო მუზეუმი, საეკლესიო სიძველეთ-საცავი, რომლის გამგეთაა ბ. მ. გ. ჯანაშვილი, დაუღალავი მკვლევარი და ისტორიკოსი. რაც გადურჩა დაუწვავ-გაუტაცებელი დაუნდობელ მტერს ჩვენში, კულტურის ნაშთნი აქ-იქ მონახეს და ამ მუზეუმში მოუყარეს თავი და რაც თვალთ სჩანს, ის მაინც აღარ განიავდება და აღიგვება დედა-მიწის პირისაგან.

ყველგან, ყოველს დროს „სამკალი ფრიად არს და მომკალნი კი არა“ ჩვენს სამშობლოში კიდევ რამდენი განძია ხელ-უხლებელი, მიწის ქვეშ, სარდაფებ, ეკლესია-კოშკების ნანგრევებსა და გვირაბებში. მუშაობაა საჭირო, მუყაითობა და შეუდრეკელი თავ-დადება. იქნება არ გავქრეთ, გადაშენება-მოსპობის გზაზე არ დავეშვათ.

ისევ ჩვენ უნდა მოვუაროთ ჩვენსავე თავს, ჩვენივე ხელით შევიხვიოთ წყლული, თორემ სხვა, ვიმეორებთ, ჩვენს ჩამორჩენას და ცხოვრების გზაზე ჩანჩალს რომ შეგვატყობს, ჯერ ბელზებელივით სიცილ-ხარხარს დაიწყებს და მერმე იტყვიან: „ქართველობა რომ ყოფილიყო, ისტორია კულტურის შექმნა რომ შესძლებოდათ, არც ამ დღეში იქნებოდენო“.

საქმე თუ გვინდა პირ-ნათლად გავითვალისწინოთ, თითონ ფაქტები ავალაპარაკოთ. აღარავისთვის საეჭვო აღარაა ის, რომ ბატონ-პატრონებმა, რასაც კი ქართული სული ედგა, ზოგი დავიწყებას მისცეს, ზოგი გაიტაცეს, ზოგი გაჰყიდეს ლარის ფასად. ჩვენი დიდებულ ხუროთ-მოძღვრების და ხელოვნების მატარებელი ტაძარ-ეკლესიები დაირღვა-დაიქცა მიუხედველობით, აქა იქ გადააკეთეს თავის გემოზე, გუმბათად „ხახვის თავი“ წამოადგეს, შიგნით მხატვრობა მაჯით შეთითხნ-შეულისეს. ერთს დროს თვით რუსის მსწავლულთ მიექციათ ყურადღება შესანიშნავი ბიჭვინთის მონასტრისათვის, რომლის საუცხოვო მხატვრობა უვიც ბერებს კირით გაელესათ. ამ ბერებს მათ უწოდეს „богомазы“. უმეტესი ნაწილი მამა-პაპათა მიერ აგებულ ტაძრებისა ოხრათ უცხო ხალხმა იყიდა და თვის სამლოცველოდ გადააკეთა. მაგალითად ფეთხაინის ტაძარში,—დღეს სომხების საკუთრება,— ერთ დროს ქართულად გაისმოდა ღვთისადმი ღაღადისი. ერთს მონასტოის წინამძღვარს, რომელსაც გაეგო, რომ რომელიღაც საქართველოს ეგზარხოსს ჭირივით ეზიზღება ყოველივე ქართული ხელთ-ნაწერი და ქართული ხელოვნების ნიმუშები, „დროგზე“ დაეყარა ტყავზე ნაწერი ძვირფასი ისტორიული, ფას-დაუდებელი სიგელ-გუჯრები და მდინარე მტკვარში გადაეყარა. [illegible] თურმე— ეგზარხოსმა [illegible] დღე არ დამაყაროსო!

სვანეთის სიძველენი ჩვენმა მწყემსებმა ვიღაც ვითომ-და ჩვენს გულშემატკივრებს გაატანეს იმ პირობით, რომ ესარგებლნათ და მერმე კვლავ დაებრუნებინათ უკანვეო, მაგრამ თქვენს მტერს და დუშმანს მის უმეტესად ჩვენთვის აღარაფერი დაებრუნებიოსთ.

ბ. თ. ჟორდანია თვის სტატიაში: „ბიჭვინტის სიგელ-გუჯრები“ მოჰყავს რასია კათალიკოსთა, სხვათა შორის, აირასა სწერს ევთიმე კათალიკოსზე, გვარათ საყვარელიძეზე: „ამ კათალიკოსმა შეკრიბა რაც რომ წმიდანების ცხოვრება იყო და ერთად აღაწერინა თვე და თვე თორმეტ წიგნად. ეს სვინაქსარული ცხოვრება კი არ არის, როგორც რუსის ეპისკოპოზის დიმიტრი როსტოვსკისა (XVIII საუკ.), არც საკითხავები, არამედ სრული შეუმოკლებელი ცხოვრება უძველესის დედნებით. საოცარია ეს შრომა. ევროპაში მთელი ბოლანდისტთა საზოგადოება აგერ ასი წელიწადია ჰკრებს და ჰბეჭდავს წმიდანების ცხოვრებას და ამ შრომით გაითქვა სახელი არა თუ საზოგადოებამ, არამედ მთელმა ნაციამ, რომელმაც წარმოშობა ეს საზოგადოება; ჩვენში კი ეს დიადი შრომა ერთს კაცს უკისრია თავისის ხარჯით, შრომით, მწერლები შემოუკრებია და თორმეტი **უზარმაზარი წიგნი** რიგზე აუწერინებია დაწყებული პირველ სექტემბრიდან აგვისტოს დამლევამდი“ *). აქ ამას დაუმატებ, განაგრძობს ბ. ჟორდანია ქვეით, შენიშვნაში, „რომ, როგორც შემდეგის დროის ნაწერთაგან სჩანს, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს თორმეტი წიგნი დაცული ყოფილა. ამათგან 1890 წელს მეცხრა-ღა ვნახე გელათის წიგნთ-საცავში; 1896 წელში კი შვიდი-ღა აღმოჩნდა და უკანასკნელ 1902 წელს, როდესაც სრულიად რუსეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურემ, შემიაკინმა, მოინდომა იმ წიგნების ჩემის შემწეობით დაწვრილებით გადაშინჯვა, ხუთი-ღა აღმოჩნდა! „სხვა მონასტრებში ბერებმა წაიღესო თხოვნითა“—ასე აგვიხსნეს. ასე იკარგება ფასდაუდებელი საუნჯე ჩვენთა წინაპართა უღირს შთამომავალთაგან! ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ის წიგნები ერთად ერთი ცალემია მთელს საქართველოში. სიტყვამ მოიტანა და ამასაც დავსძენ. რომ 1890 წ. ბაგრატის ეკლესიის შტოში რომ პატარა ეკლესია არის დღეს, იმ ტაძრის ერთს კუნჭულში შევნიშნე ორი არშინის სიმაღლე ნაგავი; ნაგვიდან წიგნის ყდის ყური მოსჩანდა; ამოვთხარე იქიდან რა აღმოჩნდა? ორი ვეებერთელა ხელნაწერი (ხუთიც სხვა წვრილი ხელნაწერები) თითო ფუთიანი. ორ დღე ღამეს ვსინჯავდი და გამოდგა ეფრემ მცირისაგან შედგენილი განმარტება ქართული დაბადებისა! ეპისკოპოზს გაბრიელს ჩავაბარე, ხოლო ამან გელათში გაგზავნა შვიდნივე ხელ-ნაწერი, რომელთაგან 1904 წ. მე და ეპ. კირიონმა ხუთი მწვრილები ვიპოვეთ და ის ორი კი არ აღმოჩნდა, გრიგოლ ბერმა წაიღო კახეთში. 1910 წელს კახეთშიც ვერ ვიპოვე ის წიგნები... ასე ვაფასებთ ჩვენ წინაპართა ნაღვაწს! ჩემი ქრონიკების მეორე წიგნში იპოვება მოკლე ცნობა ამ ფას დაუდებელ ხელ ნაწერზე, ოღონდ მაშინ არ ვიცოდი, რომ განმარტება ეფრემ მცირის შედგენილი ყოფილა და სამიოდე წლის წინეთ ეს გარემოება ვიცან იმ დაბადების ნაწყვეტიდან, რომელიც კერძო ოჯახში ვიპოვე. რამდენად ვიცი, განმარტული დაბადება ძველად არც ერთს არ მოეპოებოლა მით უმეტეს სასახელოა ჩვენი ეს ეფრემ მცირის დიდებული შრომა (იხ. „განთიადი“ 1913 წ. № 1)

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ქუთაისის საკათედრა ტაძარში ერთი

*) ეს შრომა ეკუთვნის არა ევთიმე კათალიკოზს, არამედ კათალიკოზს ევდემონ ჩხეტიძეს (1543—1578); ამ უზარმაზარი შრომის შესახებ იხ. გამოკვლევა დეკ. კ. კეკელიძისა „Іоаннъ Ксифилинъ, продолжатель Симеона Метафраста (Христіан. Востокъ, т. I вып. 3), რომელმაც გამოიწვია წერილი აკადემიკოსის ვ. ლატიშევისა—„Четьи-Минеи Іоанна Кефимина“ (Извѣст. Акад. наук. за 1913). თანახმად დეკ. კ. კეკელიძის ვრცელი წერილობითი მოხსენებისა, მეცნიერებათა აკადემიას უკვე გადაუწყვეტია აღნიშნულ შრომის გამოცემა და რედაქტორობა დაუვალებია თვით მ. კეკელიძისათვის.

რედ.

სასწაული იხილეს. ოც ნაირად თოკით შეკოჭვილი, დიდი ბოქლომით დაკეტილი და ლუქის ბეჭდით დაკრული სალაროში მოკრძალებით გახსნეს ხის სკივრი, რომელშიაც დაცული იყო ქრისტეს ხელის ჯვარცმის დროს ამსჭვალი (ლურსმანის წვერო), ძრუხელი იმ დროისვე, ღვთისმშობლის ხატი ოქროსი ძვირფასი თვალ-მარგალიტით შემკული, ფრთებიანი, უძველესი, პანაგია და მიტროპოლიტის სარტყელი. გამოხსნეს თოკი ნელა-ნელა, გასტეხეს ბეჭედი, გახსნეს ბოქლომი, ახადეს თავი და, ოი საკვირველებავ!.. ცარიელი კი აღმოჩნდა სკივრი. შიგ აღარაფერი არ იყო, tabila rasa. აქეთ ეცენ, იქით ეცენ თქვენც არ მოგიკვდეთ, რას ეძებ, რა დაგკარგვია. გაახსენდა ვისაც ჯერ არს, იწყეს გამოძიება, დაჰკითხეს „ნაპასრედნიკალ“ მნათე ქავთარაძეს, წინამძღვარს, დიაკვნებს. შედგა საქმე, მაგრამ ჯერაც არაფერი გამორკვეულა! რა იქნება რისაგან? არაფერი! აგცილდა კაცხის ზარბაზანი.—ჩვენ იმ ნივთებს ვეღარ მივაგნოთ!

ერთს სოფლის ეკლესიაში შესანიშნავი თვალ-მარგალიტით შემკული მაცხოვრის ხატი სამჯერ მოიპარეს, სამჯერვე გამოუდგენ და იპოვეს ის ხატი. „თავის თავი არ დამალა, თითონ თვის ადგილას მოვიდაო, ამბობენ ამ ხატზე სოფლელები. სხვა რამდენს ჟრიცხვს მაგალითს მოიყვანდა ადამიანი იმისას, რომ ხელიდან გვეცლება ჩვენივე შვენება, ჩვენივე გვირგვინი, კულტურის ნასახს თითქო ჩვენთან, უმადურ პატრონებთან, გაჩერება აღარუნდაო.

რა გვეშველება რომ ეს კურთხეული ქვეყანა არ გახდეს პარტახად?

ამ მხრივ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენმა ძმებმა, ამერის სამღვდელოებამ დროით უშველეს, ასეა თუ ისე თავს.

სიონის ტაძრის გალავანში ააგეს შენობა და იქ მოუყარეს თავი და ახლაც თან და თან იქვე მიდის ჩვენნი სიძველენი, რომელთა ხილვით განცვიფრებული მსწავლულნი. ჩვენც მათ მივბაძოთ ამ საქმეში. თუმცა ჩვენ გასაყოფი არა გვაქვს რა, ჩვენ ყველაფერი საერთო გვაქვს, მაგრამ, რადგან ტეხნიკურად შეუძლებელი ხდება იქ, ქართლის შუაგულში, ნივთებ-წიგნების გადატანა, ამისათვის ისე როგორც თბილისის საეთნოგრაფიო საისტორიო საზოგადოების მიბაძვით ქუთაისსაც გაიხსნა ასეთივე სახელწოდების, ე. ი. საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება, აქაც ქუთაისს შეუძლია დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებამ: იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის სამღვდელოებას გახსნას სიძველეთ საცავი, საეკლესიო მუზეუმი და იქ შეინახოს ყოველივე ღირსშესანიშნავი ისტორიული საეკლესიო სიგელ-გუჯრი, ხატ-შესამსელი, ჯვარი, ჰურჭელი, ოქროული და თვალ-მარგალიტნი ნივთები და სხვა. რაც გადარჩა, ის მაინც დავიცვათ.

თუ ნდომა იქნება, ამ საქმის განხორციელება ბევრს ხარჯს არ მოითხოვს. ჩვენის ფიქრით შეიძლება მუზეუმის ადგილად აირჩიეს ბაგრატის ტაძრის გალავანი, იქ უზრუნველყოფილი იქნება იგი ცეცხლისგან, მახვილსა წყლისა და უცხო თესლთა მტაცებლობისაგან. იქვე გვერდში იმერეთის მღვდელ-მთავარი თვალ-ყურს დააყრის. ხოლო გამგე კი უნდა იყოს თვისის საქმის ზედ-მიწევნით მცოდნე, ისეთი როგორიცაა ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმის გამგე, რომ სწორე გზაზე დადგეს ეს დიდებული საშვილიშვილო საქმე.

**კ. გძელი.**

# ამერიკელი მწერალი გერმანეთის შესახებ

სულ უკანასკნელად ამერიკაში ერთი უსახელო ავტორის წიგნი გამოვიდა. ავტორი სცდილობს გააცნოს ინგლისის საზოგადოებას გერმანეთის მისწრაფება და მისი ძალა; თანაც აფრთხილებს მას, საქმეს ზერელა არ მოეპყრას. გერმანეთი ძლიერი სახელმწიფოა ამბობს უსახელო ავტორი. იგი განმსჭვალულია, მართალია მავნებელის, მაგრამ ძლიერის მისწრაფებით. კაიზერის იდეალები და ხალხის მისწრაფებანი ერთმანეთს ეთანხმებიან. ვილჰელმს გადაწყვეტილი აქვს ბრძოლა უკანასკნელ ჯარისკაცამდის და ხალხმაც მიიღო კაიზერის ეს გადაწყვეტილება, რადგან თითონაც გაჟღენთილია პანგერმანისტულ იდეებით. მარტოდ მარტო გერმანეთს 10 მილიონი მებრძოლი ჰყავს (17 წლიდან—45 წლამდის მოყოლებული); ამათგან ჯერ-ჯერობით მხოლოდ 7 მილიონია გაწვეული, მათ შორის 6 მილიონი დგას თოფის ქვეშ. სანოვაგე 2 წელიწადზე მეტს ეყოფა. ომის დასაწყისშივე ჰოლანდიაში გერმანეთმა შეიძინა დიდძალი ხორბალი, ფქვილი და საქონელი. ამერიკაში-კი აუარებელი პური და კონსერვი შეიძინა ამასთანავე თვით გერმანეთში 20 მილიონზე მეტი ღორი მოიპოვება; ხოლო ძროხების რიცხვი 15 მილიონამდე ადის (გერმანეთში ერთი ძროხა 5 კაცზედ მოდის, ინგლისში კი 16 კაცზედ). ომის დაწყებიდანვე შეეცადა გერმანეთი შეეძინა ომისათვის სამი უმთავრესად საჭირო მასალა: ბამბა, სპილენძი და ბენზინი. უტანსაცმელოდ უტყვიაწამლოდ და უავტომობილოდ მას არ შეეძლო აქტიურად გამოსულიყო. გერმანეთმა სისუსტე გამოიჩინა ფინანსიურსა და განსაკუთრებით დიპლომატიურს საქმეში. ამ მხრივ ომის დაწყებისას სამთა შეთანხმების დიპლომატიამ გაცილებით მეტი გამჭრიახობა გამოიჩინა. სამაგიეროდ გერმანეთში არსებობს მდგომარეობის შეგნება და ერთსულოვნება. „აუცილებელი საჭიროება—კანონზე მაღლა სდგას“-ო ამბობენ გერმანელნი. ის ტერორი, რომელსაც გერმანეთმა მიმართა ბელგიელების წინააღმდეგ, საჭირო იყო გზების ხელში ჩასაგდებად. რომ ადვილად შესძლებოდათ გერმანელებს დაახლოვებულიყვნენ საფრანგეთს და ინგლისს. გერმანეთის ჯარი წარმოადგენს მშვენივრად აგებულს მანქანას, რომელსაც ხელმძღვანელობენ თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე ოფიცრები. მართალია გერმანელი ოფიცრები ვიწრო სპეციალისტები არიან, მაგრამ თავიანთ საქმეში კეთილსინდისიერნი და მართლა მომზადებულნი არიან. ამასთანავე გერმანეთის ფლოტი ხელ უხლებელია, მაშინ როდესაც ინგლისის ფლოტი თანდათან ცვდება. ზღვაზედ შეტაკება ჯერ კიდევ წინ გვიძევს და ეს შეტაკება საშინელი იქნება თავისი სიდიადით: „ზღვაზედ ბრძოლა იქნება მოკლე, მაგრამ მწვავე“-ო. დაასკვნის ავტორი. რუსეთსა და მის მონაწილეობას ომში უსახელო ავტორი წიგნისა უყურადღებოდ სტოვებს. (დ.)

# გადმოხვეწილნი

გაზ. „რუს. სლოვო“-ს ატყობინებენ: ბრესტ-მოსკოვის შარა გზით მოეშურება უშველებელი ტალღა ათი ათასობით გამოქცეულთა; ბელოსტოკში გამოგზავნილ ებრაელებს ირკუტსკის გუბერნიაში ჰგზავნიან; ტვერის გუბერნია გაივსო გამოქცეულებით; ხარკოვში ყოველდღე მატულობს გამოქცეულთა რიცხვი.

——

გაზ. „უ. რ.“-ს ატყობინებენ: ოსტროლენკაში შეგროვებულა 12000 ებრაელი, ვიტებსკში მათი რაოდენობა ათი ათასობით ირიცხება; არ იციან ეს ამოდენა ხალხი საით გაგზავნონ: სამხრეთი რუსეთი გადავსებულია გამოქცეულებით, იგივეა ტამბოვის, პენზის და ვორონეჟის გუბერნიებში.

——

ვორონეჟის ადმინისტრაცია ებრაელთ ნებას არ აძლევდა ქალაქიდან ქალაქში გადასვლისას; ებრაელებს თვით ქალაქშიაც ნება არა ჰქონდათ ბინის გამოცვლისა. ჟუნკოვსკიმ ეს აღკრძალვა ახსნა.

——

23 ივლისს მთელი ვარშავა შეანძრია რკინის გზის სადგურების საშინელმა აფეთქებამ; ამავე დროს ხალხი პროკლამაციებს კითხულობდა: ვარშავაში ჯერ ვილჰელმის მოადგილე დაინიშნება, შემდეგ კი მოხდება თვით ხალხის მიერ მეფის არჩევაო.

——

„უტრო როს.“-ს სწერენ: ხიდების და სიმაგრეების აფეთქების დროს ვარშავაში დაინგრა მეფე სიგიზმუნდის ძეგლი. ქ. კოველში გერმანელთა „ტაუბე“-მ რამდენიმე ყუმბარა ჩამოყარა.

——

„რუს. სლ.“-ს ატყობინებენ: ვლოდავა-კორბინზედ მორბიან ათი და ასიათასობით გამოქცეულნი; უბედურება მხოლოდ ეხლა იწყობა; ძალიან დიდი დახმარებაა საჭირო. მოსკოვის სომხების კომიტეტმა თავიანთ გამოქცეულთათვის 20 ათასი მან. გადასდვა; ამას გარდა იგდირში 10 ათასი მანეთის ფქვილი გაგზავნა. (კ.ს.)

——

სომხურ გაზეთს „ჰორიზონს“ იგდირიდან ატყობინებენ: ეჩმიაძინის სადგურიდან იგდირამდე ვსტიროდი. ვერ წარმომიდგენია თუ მთელ ქვეყნის ზურგზე ადამიანი ასეთის უდიდესი უბედურების მნახველი იყოს, როგორც მე ვნახე. ხალხი იხოცება შიმშილით, წყურვილით და დაქანცულობით. არავინ არის ყური მიუგდოს, მიეშველოს. ფულითაც კი ვერ უშოვნიათ პური.

გზაზე გამოქცეულები ორ ნაწილად გაიყვნენ: ასი ათასამდე აბაგისკენ გაემართა, ხოლო ორმოცდა ათი ათასამდე კაცმა ზანიკიდან გეზი შეიცვალა და სპარსეთისკენ გასწია.

ამ ჟამად ადგილობრივ დარჩენილებზე ზრუნავენ, რომელთაც ოსმალებისა და ქურთებისაგან განსაცდელი მოელით.

მეფის მოადგილის განკარგულებით ჯენვანშირის და შუშის მაზრაში 24,000 გამოქცეული უნდა დაბინავდეს. სომეხთა სოფლებში პურის მოუსავლობაა. საჭიროა გამოქცეულები საკვებით უზრუნველ ჰყონ.

გუბერნატორმა ქალაქის მართველობას თხოვნით მიჰმართა, თბილისის გუბერნიის სხვა და სხვა ადგილას დაბინავებულ გამოქცეულთა სასარგებლოდ ექვსი ვაგონი ფქვილი გაიგზავნოს.

——

**მინსკი**, 29 ივლისი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა ერობისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა კრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სრულიად რუსეთის საერობო და საქალაქო კავშირების და წითელი ჯვარის რწმუნებულებმა. კრების მიზანი იყო დახმარება აღმოეჩინა იმ გამოქცეულებისათვის რომლებიც მინსკის გუბერნიას გამოივლიან. დაადგინეს გამართონ საკვები და საექიმო პუნქტები რკინის გზებსა და გზა-ტკეცილებზე, რიცხვით ოცდათერთმეტი, მოაწყონ საცა საჭირო იქნება, საავადმყოფოები და გადამდები სენით ავადმყოფთათვის კარავები, გაგზავნონ ხუთი საექიმო-სასანიტარო რაზმი გუბერნიაში იმუამდგომლონ, რომ ამ საქმეში მონაწილეობა მიიღონ ერობათა და ქალაქთა კავშირების წარმომადგენლები და სთხოვონ დახმარება ადგილობრივ საქველმოქმედო საზოგადოებათ

——

**ეკატერინოსლავი**, 29 ივლისი. მოაწყდა 10000 გამოქცეული. საჭირო დახმარებას უჩენენ ადგილობრივი კომიტეტები.

# მგზავრის დღიურიდან

**გორიჯვარი.**

„სხვა საქართველო სად არის
რომელი კუთხე ქვეყნის„...

**გრ. ორბელიანი.**

კვირას, 5 ივლისს, გავემგზავრეთ ეკლესია გორიჯვარში, რომელიც დაშორებულია ქ. გორს 2—3 ვერსის მანძილზე და მდებარეობს მტკვრის მარჯვენა მხარეს. აქაური მოძღვრის სიტყვით ეს ტაძარი აგებული უნდა იყოს მე 9 საუკუნეში; იგი შიგნით მხატვრობითაა სავსე. კანკელის მარცხენა მხარეს ასვენია წმ. გიორგის ხატი, საკურთხეველის მზგავს მაგიდაზე, რომელიც ერთი და იგივე მასალისაგანაა აშენებული, როგორც დანარჩენი შენობა; ერთს მის ბოძთაგანს მლოცველები თურმე უვლიან გარშემო მოკრძალების და მორჩილების ნიშნად.

გორიჯვარი ციცაბ და მაღალს გორაზეა ამართული. აქედან როგორც ახლოს, ისე შორს საამური და საუცხოვო სურათები იშლება: გვერდზე ჩამოუდის და მიიკლაკნება ათას გვარად მიხვეულ-მოხვეული მტკვარი, რომელსაც ქ. გორთან ერთვის მდ. ლიახვი; დაბლა მთის კალთაში მოსჩანს პატარა სოფელი მისივე სახელ-წოდებით და ეს ტაძარიც ამავე სოფელს აქვს მიწერილი, დასავლეთით პატარა ტყე აქვს შემორტყმული, თუ ამინდი ხელს უწყობს აქედანვე მოსჩანს კავკასიონის ქედი და შორი მანძილზედ მტკვრის და ლიახვის ხეობანი; ქ. გორი ხომ ხელისგულივით მოსჩანს, მეტადრე ამ უკანასკნელის სიამაყე გორიციხე, რომელიც დღესაც მედიდურად გამოიყურება და მზრუნველობით დაჰყურებს, ვით საზღაპრო გმირი გუბაგი, თვის სატრფო ქ. გორს, რომ მტერი მას ახლოს არ მოეკაროს! აქ უნებლიეთ გაგონდებათ ველიჩკოს სიტყვები: „მოგზაურო, ხომ უყურებ ამ ძველს ციხეს, რომ არ ქრება? თითქოს დღესაც სამშობლოს [illegible] ემუქრება“.

**ერმალოზ კახი.**

# ჩვენი ცხოვრება

**ს. ცხემლის ხიდი.** (გურია). ორ ივლ. ს. ცხემლის ხიდში აკაკის ხსოვნის აღსავიშნავად გაიმართა წარმოდგენა. წმინდა შემოსავლიდან რვა მანეთი გადაეცა დაჭრილ მეომართა ოჯახობის სასარგებლოდ ოზურგეთის მაზრის ურფოს.

(10 მ.) ათი მანეთი აკაკის ფონდისა „საქართველოს“ რედაქციას. დანარჩენი გადაიდვა ადგილობრივ სამკითხველოს ფონდისთვინ, რომელიც ინახება ცხემლის ხიდის საკრედიტო ამხანაგობაში. აღნიშნული წარმოდგენის მომწყობი „წრის“ სახელით ულრმეს მადლობას ვუცხადებთ ქ.ქ. ელისაბედ ოთხმეზურისას. კესარია ჯინჭარაძეს, ბ.ბ. მიხა საბაშვილს, გრიშა დათუნაიშვილს და ვლადიმერ გიორგაძეს, რომლის ხელმძღვანელობით სულ მოკლე ხანში შესძლეს ისეთი პიესის თამაში, როგორიც არის „და-ძმა“ გულითად მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ყველა იმათ ვინც ბილეთების გაყიდვით თუ სხვა აქტიური დახმარებით ხელი შეუწყვეს წარმოდგენის მწყობრად ჩატარებას.

ვისურვებთ მათი მოქმედება არ განსაზღვრულიყოს მხოლოდ ერთი წარმოდგენით.

პატივისცემით **ი. მ—ძე.**

——

**ს. ბეკამი** (გორის მაზრა). 26 ივლისს შემთხვევით დავესწარი ს. ბეკამში გამართულ წარმოდგენას; წარმოადგინეს სამხიარულო ვოდევილები: „რაც არ მერგება, არ შემერგება“, „დათვი“ და „მონადირე“; წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი ახალგაზდა სცენის მოყვარეთა ჯგუფი სტუდენტ ვ. ციცქიშვილის ხელმძღვანელობით; მოთამაშეებმა მწყობრად ჩაატარეს თავ-თავიანთი როლები.

სტუდენტ ციცქიშვილს განუზრახავს საზაფხულო თეატრის აშენება და მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა თავისი განზრახვა ასრულებაში მოუყვანია და სკოლასთან უბრალო საზაფხულო თეატრი აუგია. ეს თეატრი უბრალო ფიცრულია, მაგრამ ზაფხულობით წარმოდგენების გასამართავათ თამამად გამოდგება.

**სტუმარი.**

# დეპეშები

**პარიზი**, 28 ივლისი. (ოფიციალი). დღემ მშვიდად ჩაიარა. გვატყობინებენ მხოლოდ ზარბაზნების სროლის ამბავს ენის ხეობიდან (არტუაში), ტრუაიონისა და არგონების რაიონიდან. ოთხი ჰაეროპლანი, რომლებიც საარბრიუკენში ყუმბარების ჩამოსაყრელად გაფრინდნენ, აღარ დაბრუნებულან.

**ლონდონი**, 29 ივლისი (ოფიციალი). რამდენიმე დირიჟაბლისაგან შემდგარი ჰაერის ფლოტი ინგლისის ნაპირებს ეწვია და მრავალი ცეცხლის გამჩენი ყუმბარები ჩამოჰყარა სხვა და სხვა ქალაქებში. მრავალ ადგილას ცეცხლი გაჩნდა. ერთი „ცეპელინთაგანი“ შესამჩნევად დაზიანდა.

**სოფია**, 28 ივლისი. კონსტანტინეპოლის ოფიციალი ცნობის მიხედვით, ინგლისის წყალქვეშამ დაჰღუპა ოსმალეთის ჯავშნოსანი „ჰაირ-ედინ-ბარბაროსა“; მეზღვაურთა უმეტესი ნაწილი გადაარჩინეს.

**ლონდონი**, 28 ივლისი, ინგლისის ნაღმოსანი ჩრდილოეთს ზღვაში ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. 4 ოფიცერი და 22 მეზღვაური გადაარჩინეს.

**კოპენჰაგენი**, 28 ივლისი. გერმანეთის მაშველმა კრეისერმა დასწვა გემი „იაზონი“, ხოლო მეზღვაურნი დაატყვევა; მაგრამ შემდეგ ეს კრეისერი „მეტეორი“ თვითონ დაეჯახა ნაღმს და ჩაიძირა.

**ლონდონი**, 28 ივლისი. გაზეთები სწერენ ზავის იმ პირობების შესახებ, რომელნიც გერმანეთმა რუსეთს წარუდგინა. გაზეთების სიტყვით, რუსეთს უპასუხნია: ზავს შევკრავთ ჩვენ მხოლოდ მაშინ, როდესაც გერმანეთი სრულიად იქმნება დამარცხებული, თორემ მომავალში ჩვენი შთამომავლობა უზრუნველყოფილი არ იქმნება ომის ახალი საში-

ნელებისაგან და გერმანეთის გავლენისაგან.

**ბუქარესტი**, 28 ივლისი. მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ახალი სესხი 200 მილიონი ფრანკისა, გარდა პირველი 100 მილიონიანი სესხისა, რომელიც პარლამენტმა მიიღო სამხედრო სიმინისტროს საჭიროებისათვის. აქ ჩამოსულმა საფრანგეთის ყოფილმა გარეშე საქმეთა მინისტრმა კრუპიმ ინახულა ბრატიანუ და უცხოეთის საქმეთა მინისტრი პორუმბარო. რუსეთის დესპანმა პოკლევსკი-კოზელმა მის პატივსაცემად საუზმე გამართა. ამ საღამოს კრუპი პეტროგრადს გაემგზავრება.

**პეტროგრადი**, 28 ივლისს. სახალხო განათლების სამინისტრომ ითათბირა ავსტრიის სკოლებში მოსწავლე და ომის შემდეგ რუსეთში გამოქცეულ გალიციელთა სწავლის ნორმალი პირობების უზრუნველყოფის შესახებ. საჭიროდ იცნეს განსაკუთრებულ გიმნაზიათა დაარსება რუსეთის შუაგულ გუბერნიებში, რათა გალიციელებმა რაც შეიძლება უკეთ შეასწავლონ წმინდა რუსული ენა.

**სამარა**, 28 ივლისი. სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის სასარგებლოდ გამართული ხელის მოწერის პირველმა დღემ 6000 მანეთი მოიცა.

**ლონდონი**, 28 ივლისი. ბეჭვდითი საქმის ბიურომ გამოაქვეყნა გენერალის ჰამილტონის მოხსენება: უკანასკნელს რამდენადმე დღეს ჩვენ შესამჩნევად წინ წავიწიეთ. სურტ-ხორის რაიონში მოვიგეთ 200 იარდი (მანძილის საზომია) ფრონტზე, რომელიც კრიტიის გზაზე 300 იარდით აღმოსავლეთით არის დაშორებული და შევირჩინეთ იგი, მიუხედავად მედგარის კონტრ-იერიშებისა, რომელნიც მტრისთვის მძიმე ზარალით მოვიგერიეთ. რამდენიმე იერიში აწარმოვა ფრანგების ჯარმა. მათმა დახმარებამ დიდი სარგებლობა მოგვიტანა. ანზაკის რაიონში ჩუნუკ-ბაირზე გავმაგრდით, სარბაირის ნაწილიც დავიკავეთ. ჩვენვე დავიჭირეთ მაღლობები, თავგამოდებულის ბრძოლისა და ძლიერ გამაგრებულს პოზიციების ნაყოფიერი იერიშების შემდეგ. აქ მტრის ზარალი საგრძნობელია. ჩვენი შეტევა ღამით დაიწყო კონტრ-ნაღმოსნის პროჟექტორის დახმარებით, სხვა ადგილებში მარჯვედ გადავსხით დესანტები. ჩვენც შესამჩნევად წავიწიეთ წინ. ხელთ ვიგდეთ 630 ტყვე, ერთი ზარბაზანი, ორი მორტირი 9 ტყვიისმფრქვეველი და აუარებელი ყუმბარა. ყველგან გაფანტულია მტრის მრავალი თოფი ყუმბარა და ამუნიცია.

**პრეტორია**, 29 ივლისი. პორტუგალიის მთავრობამ ანგოლაში დააპატიმრა აჯანყებულ ბურების პოლკოვნიკი მარიცი თვის მომხრეთა მცირე ჯგუფით.

**ვაშინგტონი**, 29 ივლისი. შეერთებულ შტატების მთავრობამ ვენაში გაგზავნა თვისი პასუხი, რომელიც აბათილებს ავსტრიის განცხადებას, თითქოს სამხედრო მასალის მიწოდება ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთათვის, ნეიტრალობის დარღვევას ნიშნავდეს.

**სტოკჰოლმი**, 29 ივლისი. ინგლისელებისა და შვედების შეერთებულმა კომისიამ რამოდენიმე დღით შესწყვიტა თვისი მუშაობა, რომ თავ-თავის მთავრობას მოახსენონ ზოგიერთი საკითხი.

**ვაშინგტონი**, 28 ივლისი. ჯავშნოსნებმა „ნიუგემპშირ" და „ლუზიანა"-მ ბრძანება მიიღო მექსიკოს ქალაქ ვერაკრუცში წასვლისა, სადაც უცხოელების საწინააღმდეგო დემონსტრაციას მოელიან. შესაძლებელია სხვა სამხედრო გემებიც მოიხმარონ.

**სოფია**, 29 ივლისი. გუშინ რადოსლავოვმა მიიღო გერმანეთის და ავსტრიის ელჩები; შემდეგ კი ინახულა მეფე ფერდინანდი.

**ქრისტიანია**, 29 ივლისი. გერმანეთის წყალქვეშამ დაჰლუპა პეჩორიდა ხე-ტყის მასალით დატვირთული და ინგლისში მიმავალი გემი „გეირანგერი".

**სტოკჰოლმი**, 29 ივლისი. ბერლინიდან გვატყობინებენ, რომ ბულგარეთისა და პორტას წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს იმ პროტოკოლს, რომელიც შემდეგს მოლაპარაკებას სარჩულად დაედება. კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა ბულგარეთის სამხედრო რწმუნებული, რომელიც საზღვრების შესასწორებელ კომისიაში მიიღებს მონაწილეობას.

**პეტროგრადი**, 29 ივლისი. დიდი ცეცხლი გაჩნდა ფინლანდიის სადგურის საწყობებში. ზარალი 3 მილიონამდეა. დაიწვა „პაკჰაუზი" და მრავალი ვაგონი. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ გამოურკვეველია.

**ლონდონი**, 28 ივლისი. გენერალი ფრენჩი იტყობინება: მოოჟის ჩრდილო-დასავლეთით და ამ სოფლის ნანგრევებს შორის გუშინ დაჭერილ ადგილებში გავმაგრდით და ღამით ქვეითი—ჯარის სუსტი იერიშები მოვიგერიეთ. გუშინ დღისით ძლიერი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა, რასაც შედეგად მოჰყვა გოოჟის სამხრეთით ახდილს ადგილზე გამაგრების შეუძლებლობა ორსავე მტრისათვის. ჩვენ ცოტა უკან დავწიეთ ჩვენი ხაზი სოფლის სამხრეთით, მაგრამ ამას ოდნავაც არ შეუძლია საერთო მდგომარეობა.

## სასამართლოს ქრონიკა

### გიმნაზიელი ჯანელიძის მოკვლის საქმე

28 ივლისს კავკასიის სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე ბ. ბ. ქუთათელაძის, მჟავანაძის, ღულაძის, ილარიონ და ვლადიმერ მესხებისა. აღნიშნულ პირთ ბრალდებოდათ ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის შეგირდის ჯანელიძის გატაცება ქალაქ ქუთაისში და მისი მოკვლა, მშობლებისაგან სასყიდლის მიუღებლობის გამო. ამ საზიზღარმა ბოროტმოქმედებამ როგორც მკითხველს ეხსომება, თავის დროზედ დიდი მღელვარება და აღშფოთება გამოიწვია, როგორც ქუთაისისა ისე მთელს ქართველს საზოგადოებაში.

ბრალდებულმა ქუთათელაძემ, მჟავანაძემ და ვლადიმერ მესხმა თავი დამნაშავედ იცნეს, მხოლოდ გატაცებაში და არა მკვლელობაში. დავით ღულაძემ და ივლიანე მესხმა თავი უდანაშაულოდ აღიარეს. ბ-ნ ღულაძეს იცავდნენ ნაფიცი ვექილის თანაშემწენი: ბ-ნი შალვა მესხიშვილი და ბ-ნი გ. გიორგაძე. მჟავანაძეს—ნაფიცი ვექილი ესსენი. დანარჩენებს მთავრობისაგან დანიშნული ვექილი ბ-ნი აბულაძე. სამოქალაქო მომჩივანის ინტერესებს იცავდა ბ-ნი დიმიტრი დგებუაძე. ბ-ნი დგებუაძე მოითხოვდა ოცი ათას მანეთს მოკლული ბავშვის მამის სასარგებლოდ. მოწმეების დაკითხვის შემდეგ საქმე გადაიდვა მეორე დღისთვის.

29 ივლისს შეკამათება გაიმართა პროკურორისა და ვექილებსშორის. კამათის შემდეგ სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში, სადაც დაჰყო მთელი სამი საათი. საღამოს შვიდ საათზე კვლავ შებრუნდა სხდომათა დარბაზში და განაჩენი გამოაცხადა. ბრალდებულნი ქუთათელაძე, მჟავანაძე და ვლადიმერ მესხი სასამართლომ დამნაშავეთ იცნო არა მკვლელობაში, არამედ მხოლოდ ბავშვის გატაცებაში და თითოს თორმეტი წლის კატორღა მიუსაჯა ყოველისავე ღირსების ახდით. მჟავანაძეს კატორღა შეუცვალეს ექვსის წლის ციხით, მცირე წლოვანობის გამო. ილარიონ მესხი დამნაშავეთ იქნა ცნობილი ბავშვისა და ბრალდებულთა დამალვაში, რისთვისაც 8 წლის კატორღა მიუსაჯეს, აგრთვე ყოველივე ღირსების ახდით. დავით ღულაძე უდანაშაულოდ იცნეს დ გაამართლეს. სასამართლომ 20,000 მანეთზე უარი უთხრა სამოქალაქო მომჩივანს.ბავშვის მკვლელობა ასეთ გარემოებაში მომხდარა, გამტაცებელნი რომ თავის შველას შესდგომიან, ბოქაულებს დარაჯებითურთ კვალ და კვალ გამოსდგომიან და თოფები დაუხლიათ. ამათი თოფის სროლა და ბავშვის სასიკვდილო ყიჟინა ერთი ყოფილა. სასამართლომ გამოარკვია რომ ბავშვი გამტაცებელთა ტყვიით არ მომკვდარა. ამის შემდეგ ცხადია, თუ ვისი ხელის მსხვერპლი უნდა ყოფილიყო იგი. სამოქალაქო მომჩივანის ნაფიცმა ვექილმა დ. დგებუაძემ, საქმის გარჩევის დროს ისეთი ზნე გამოიჩინა, რომელიც ვექილთა პრაქტიკაში არ ნახულა. მან არა ერთხელ მიმართა სასამართლოს თხოვნით რომ დამნაშავენი სიკვდილით დაესაჯათ, ჩამოხრჩობა გადაეწყვიტათ. ბ-ნ დგებუაძის საქციელმა ერთსულოვანი აღშფოთება გამოიწვია, როგორც იქ მყოფ ნაფიც ვექილთა შორის აგრეთვე დამსწრე საზოგადოებაში.

აპოლონ კობახიძე.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

## გერმანიაში დატყვევებულთა ნათესავების საყურადღებოდ

ვისაც სურს გერმანიაში მყოფ ტყვეებს გაუგზავნოს ფული ან კიდევ რაიმე ამანათი, იმან უნდა იხელმძღვანელოს შემდეგის კანონით:

ამანათის წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას (5 კილოგრამს). ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული სწორი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. საჭიროა აგრეთვე ამანათს ზედ ეკრას პატარა ქაღალდი შემდეგის წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით, ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** ჰგზავნის. ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

ან Suise, Bern, Ensingenstasse, 48 A. A. Бахерахтъ

ან კიდევ: Bangue Papulaire Suisse, Foids Russe pour les prisonniers de guerre.

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 56 „ | „ |
| ელაანიდან | 2 ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან | 3 ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში | 10 „ | 07 „ | „ |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 ბათომიდან | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დილ |
| „ სააგარ. | 10 ს. | 28 წ. | სად. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ | 8 ს. | 53 წ. | სად. |
| ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |
| „ სააგარ. | 8 ს. | 28 წ. | დილ. |


## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## „ხარფუხის კლუბი"

**პროგრამა 30—2 აგვისტომდე**

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

**პარასკევს**—სინემატოგრაფი—ბაღში დაუკრავს **საზანდარი.**
**შაბათს**—**ქართულ-რუსული კონცერტი** ბაღში სამხედრო ორკესტრი დაუკრავს.
**კვირას**—მანდოლინისტების ხორო.
სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს., წარმოდგენების და კონცერტების—9 ს. საბავშო საღამოები—5—9 საათამდე—სტუმრები იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

## „კაფე პარიზი"

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

პირველხარისხოვანი

## სასადილო „კაფე ბორდო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის** 9 საათიდან 12 საათამდე. **სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენერბური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

## გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო ასწავლებელისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. **მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. 0—13

**ქ. გორში**

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

**გადაწერას საწერ მანქანის**

**საშვალებით და საწერ მანქანაზე**

**მუშაობის სწავლებას**

**ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს**

**ი. თ. გვათუას კანტორა**

**ვერის დაღმართი № 1**

ტელეფონი 17—05

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და სად. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

## თევზის მრეწველნი ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ძვით**", სამგზავრო წყალოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხს, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

## „სამშობლო"

(გამოდის ქუთაისში)

ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით

**გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:**

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო"**. ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**


ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

მსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.